



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №65

2018 წლის 18 დეკემბერი

ქ. ბათუმი

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის -ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ განსახორციელებელი მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 მარტის №22 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლისა და საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. შევიდეს ცვლილება „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის -ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ განსახორციელებელი მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 მარტის №22 განკარგულებაში და განკარგულებით დამტკიცებული მიზნობრივი პროგრამა ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (იხ.№1 დანართი).
2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა სამსახურმა უზრუნველყოს 2018 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი პროგრამა.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა №30) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თის ვადაში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ნადიმ ვარშანიძე